

დეპარტამენტის სასწავლო-მეთოდური, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ძირითადი მიმართულებები, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები, შემოქმედებითი სტუდიები და სტუდენტური კონკურსები, სტუდენტთა დასაქმება.

არქიტექტურული დაგეგმარებისა და ურბანისტიკის დეპარტამენტი წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს ფაკულტეტის საქმიანობის განმსაზღვრელ ძირითად სტრუქტურულ ერთეულს.

არქიტექტურის დაგეგმარების მიმართულება არის სამართალმემკვიდრე ჯერ კიდევ 1922 წელს სამშენებლო ფაკულტეტთან ჩამოყალიბებული არქიტექტურის სპეციალობისა. 1969 წელს, განვლილი ათწლეულების შემდეგ, შეიქმნა არქიტექტურის ფაკულტეტი, რომელშიც შედიოდა სამი კათედრა: არქიტექტურული გეგმარების (კათედრის გამგე პროფ. ი. ციციშვილი), არქიტექტურის შესავლის (კათედრის გამგე მ. ლორთქიფანიძე) და არქიტექტურული კონსტრუქციების (კათედრის გამგე ა. ბერიშვილი). შემდგომ წლებში მათ დაემატა ურბანისტიკის, დიზაინისა და ხელოვნების ისტორიის კათედრები. 2005 წელს მიმდინარე ინსტიტუციური ცვლილებების საფუძველზე ფაკულტეტს შეეცვალა სახელი და დაერქვა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი. სწავლება მიმდინარეობს სამსაფეხურიანი (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სისტემით.

დეპარტამენტში სწავლების სამივე საფეხურის დისციპლინების – სალექციო კურსის, საკურსო პროექტების, ბაკალავრიატისა და სამაგისტრო საკვალიფიკაციო ნაშრომების თემატიკა და სწავლების მეთოდიკა ორიენტირებულია კონკრეტულ პრაქტიკულ შედეგზე. სტუდენტურ პროექტებში წყდება თბილისის, სხვა ქალაქებისა და სოფლების არქიტექტურულ-გეგმარებითი, ურბანული ლანდშაფტურ-რეკრეაციული, ქალაქგეგმარებითი რეკონსტრუქციის, ეკოლოგიის და სხვა პრაქტიკული პრობლემები.

კონკრეტულად ბაკალავრიატში, აღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით ისწავლება ისეთი ძირითადი დისციპლინები, როგორცაა „არქიტექტურული დაგეგმარება“, „საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების არქიტექტურული პროექტირება“, „შენობათა რესტავრაცია-რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია“, „ურბანული (ქალაქმშენებლობითი) რეკონსტრუქცია“, „ლანდშაფტის არქიტექტურა“, „ქალაქებისა და სოფლების დაგეგ-

მარება“, „ქალაქთმშენებლობითი ეკოლოგია“, „ქალაქის საინჟინრო მოწყობა“ და ტრანსპორტი“, „პროექტირების ნორმატიული და საკანონმდებლო საფუძვლები“ და ა.შ.

### **სწავლების თეორიულ-პრაქტიკული მაგალითები.**

სასწავლო დისციპლინის „ურბანული რეკონსტრუქციის“ სწავლების ფორმატში წლების მანძილზე საკურსო პროექტები საინტერესო და რეალურთან ძალზე მიახლოებული მეთოდით მიმდინარეობს (პროფ. გ. შაიშმელაშვილი, ნ. ჩხეიძე, ი. მურღულია და სხვ.) საპროექტო დავალებად გაიცემა თბილისის ისტორიული სარეკონსტრუქციო ტერიტორიები (მათ შორის ავლაბარი, აღმაშენებლის გამზირი, ძველი თბილისი, სოლოლაკი და ა.შ.) ჯგუფის სტუდენტები რამდენიმე შემოთავაზებული საპროექტო ტერიტორიიდან თვითონ ირჩევენ სასურველს და სემესტრის მანძილზე ხდება სხვადასხვა საპროექტო ტერიტორიაზე საკურსო პროექტის დამუშავება შემდეგი მეთოდით: არსებული სიტუაციის შესწავლა-ტერიტორიის წინასაპროექტო კვლევა, რომელიც მოიცავს მდგომარეობის ადგილზე გაცნობას, ფოტოფიქსაციას, არსებული შენობების კატეგორიების დადგენის, სქემატურ ანალიზს. რიგ შემთხვევაში წარმოებს მოსახლეობის სოციოლოგიური გამოკითხვა სპეციალური ანკეტით.

საკურსო პროექტის ძირითად მიზანს წარმოადგენს სარეკონსტრუქციო უბნის, ან ცალკეული ჯგუფების კვლევის საფუძველზე, ისეთი არქიტექტურულ-გეგმარებითი გადაწყვეტის მიღწევა, რომელიც თბილისის საერთო ურბანისტული განვითარების კონტექსტში ხელს შეუწყობს შერჩეული უბნის სრულფასოვან რეაბილიტაციას.

ძირითადი მიზნიდან გამომდინარე გადასაწყვეტია შემდეგი ძირითადი ამოცანები:

- ფუნქციური როლის დანახვა თბილისის სარეკონსტრუქციო ზონის გეგმარებით სტრუქტურასთან;
- ძირითადი ქალაქმშენებლობითი პარამეტრების დადგენა: გეგმარებითი სტრუქტურა, ქუჩების ქსელი, მასშტაბი, განაშენიანების ხასიათი, სახლების ტიპოლოგია, სართულიანობა და ა.შ.;
- ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლებისა და მათი გარემოს მთლიანობის შენარჩუნება;
- საზოგადოებრივი სივრცის, ავტოსადგომების განთავსების და სხვა ანალოგიური პრობლემების გადაწყვეტა.

ზემოთ მოყვანილი მეთოდის, მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით საკურსო პროექტირების სხვადასხვა ეტაპზე სტუდენტები ასრულებენ სარეკონსტრუქციო უბნის საყრდენ ანალიტიკურ გეგმას და უბნის ძირითად გენერალურ გეგმას (ზონირების, სატრანსპორტო და საქვეითო მოძრაობის, ფუნქციონალური და ვიზუალური კავშირების, ძირითადი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების ჩვენებით).

საცხოვრებელი ჯგუფის გენერალურ გეგმას განაშენიანების არქიტექტურულ-სივრცული გადაწყვეტის ჩვენებით, წარმოადგენენ ჩანახატებს, ფოტოებს, განმარტებით ბარათს და სხვ.

დეპარტამენტის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს „ლანდშაფტის არქიტექტურა“, რომლის სწავლების მეთოდიც პრაქტიკულ პროექტირებასთანაა დაკავშირებული. სტუდენტები III-IV კურსზე აკეთებენ თბილისის არსებული ბაღების რეაბილიტაცია-განახლებას. (ავლაბარში წურწუმისა და ქუჩის მიმდებარე ბაღი, დიდის ბულვარი, ყოფილი ლესელიძის ბაღი და ა.შ.)

ისევე როგორც ზემოთმოცემული რეკონსტრუქციის შემთხვევაში, ბაღის პროექტირებისას სტუდენტი თვითონ ირჩევს კონკრეტულ ტერიტორიას. ბაღის განახლებარეაბილიტაციის პროექტზე ის მუშაობას იწყებს არსებული სიტუაციის შესწავლით ანუ ტერიტორიის წინასაპროექტო კვლევით, რომელის მიზანია მოცემული ტერიტორიის ქალაქგეგმარებითი პირობების კომპლექსური შეფასება და პრობლემის ირგვლივ არსებული გამოცდილების შესწავლა. ამ ეტაპზე ხდება არსებული ბაღის ტერიტორიის ვიზუალური შესწავლა – ფოტოფიქსაცია, მაცხოვრებლებისა და ბაღის დამსვენებლების გამოკითხვა და ა.შ.

შემდეგ ეტაპზე სტუდენტმა უნდა გამოავლინოს პარკის ტერიტორიის არქიტექტურულ-მხატვრული და სივრცით-კომპოზიციური ჩანაფიქრი და ჩაატაროს მთელი რიგი საპროექტო სამუშაოები (ტერიტორიის ფუნქციონალური ზონირება, საპარკო გზების ტრასირება, არსებული ხე-მცენარეების შენარჩუნების აუცილებლობის კრიტერიუმების განსაზღვრა და ა.შ.)

პროექტირების დასკვნით ეტაპზე სტუდენტი ასრულებს პარკის ტერიტორიის გენერალურ გეგმას, მისი ცენტრის დეტალურ ნახაზს, აგრეთვე საპარკო ნაგებობების, გამწვანების და კეთილმოწყობის ელემენტების – (მცირე არქიტექტურული ფორმების)

დეტალურ დამუშავებას, ადგენს გამწვანების პროექტს, რომლითაც გამოვლენილი იქნება ბაღის ტერიტორიის გამწვანების საერთო ხასიათი.

აქ მოცემულია ბაღის განახლება-რეაბილიტაციის მეთოდის ძირითადი ეტაპების მოკლე ჩამონათვალი. ვრცლად კი პროექტირების პროცესს სტუდენტი ეცნობა მეთოდურ მითითებებში – „ლანდშაფტის არქიტექტურის სწავლების მეთოდური საფუძვლები“ და საკურსო პროექტის მოცემულობები თემებზე: საქალაქო მრავალფუნქციური პარკი; საქალაქო ბაღის პროექტირება და განახლება“, აგრეთვე დამხმარე სახელმძღვანელოთი „ლანდშაფტის არქიტექტურა“ (ავტორი პროფ. თ. მახარაშვილი, 2016-2017 წწ.).

ზემოთ მოცემული მეთოდით ლანდშაფტის არქიტექტურის სწავლების პროგრამა ითვალისწინებს თბილისის 50-60-იანი წლების კვარტალური განაშენიანების შიდა სივრცეების განახლება-რეაბილიტაციას. (თბილისის ვაკის რაიონში, ჭავჭავაძის გამზირის, ფალიაშვილისა და აბაშიძის ქუჩების მიმდებარე კვარტალური განაშენიანების შიდა სივრცეები და ა.შ.)

საკურსო პროექტირებისას ეზოდან ავტოფარეხების აღების შემდეგ პრობლემური იყო ავტომობილების პარკირების პრობლემის გადაწყვეტა. მიზანშეწონილად ჩაითვალა, რომ აქ არსებული ავტომობილებისათვის მოწყობილიყო მსოფლიოში აპრობირებული მიწისქვეშა კასეტური ტიპის ავტომატიზირებული ავტოფარეხი. ამ ტერიტორიაზე ორი ასეთი მიწისქვეშა ავტოფარეხის განთავსება სრულად გადაჭრიდა ავტომობილების პარკირების პრობლემას.

ამრიგად, სემესტრის ბოლოს მივიღეთ ვაკის კვარტალური განაშენიანების შიდა ეზოების განახლება-რეაბილიტაციის (რეკრეაციული ბაღის აღდგენის) პროექტის რამდენიმე ვარიანტი.

სწავლების მეთოდიკა ითვალისწინებს წარმატებული სტუდენტების წახალისებას. ამ მიზნით ყოველი სემესტრის ბოლოს ეწყობა სტუდენტური საკურსო პროექტების კონკურსი. ჟიური არჩევს საუკეთესო პროექტებს, ხოლო ავტორები ჯილდოვდებიან სპეციალური დიპლომებით და სამახსოვრო საჩუქრებით. ეს პროექტები გამოფენილია ფაკულტეტის ვესტიბიულში და შემდგომ სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკის საგამოფემო სივრცეში. აქ უკვე 2 წელია ეწყობა სტუდენტთა და პედაგოგთა ნახატების და პროექტების გამოფენები.

ქ. თბილისის მერიის სათანადო სამსახურებთან წინასწრი შეთანხმებით მოხდება სტუდენტების აღნიშნული საუკეთესო პროექტების წარდგენა და განხილვა ქალაქის მერიაში.

დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებელთა დიდი ნაწილი ეწევა პრაქტიკულ მოღვაწეობას არქიტექტურის სხვადასხვა მიმართულებით და დიდ წარმატებებსაც აღწევს.

პროფესორი ვახტანგ დავითაია არის მრავალი საინტერესო განხორციელებული არქიტექტურული პროექტის ავტორი. ბევრ მათგანს მოპოვებული აქვს ადგილობრივი და საერთაშორისო კონკურსის პრიზები (იხ. წიგნები „ვახტანგ დავითაია“).

პროფესორებს გიული გეგელიას, ვაჟა გელაშვილს, ვასილ ქობალიას, თენგიზ გოგოლაშვილს, გია ნადირაძეს, თემურ ხოჯავას, გია შაიშმელაშვილს, ოთარ ნახუცრიშვილს, თენგიზ მახარაშვილს, გიორგი სალუქვაძეს, მერაბ ბოლქვაძეს, ირაკლი მურდულიას და სხვებს განხორციელებული აქვთ მრავალი ობიექტის ძალზე საინტერესო არქიტექტურული პროექტი, მათ მოპოვებული აქვთ მრავალი პრესტიჟული კონკურსის მთავარი პრიზი. (იხ. განხორციელებული პროექტების ვიდეო პორტალი...)

პროფესორებმა მერაბ ბოლქვაძემ, გია შაიშმელაშვილმა მ. სალუქვაძემ გაიმარჯვეს ქ. თბილისის გენგეგმის შედგენაზე გამართულ კონკურსში. პროექტი გადის დამტკიცების სტადიას, რამდენიმე თვეში, 50 წლიანი პაუზის შემდეგ, თბილისი მიიღებს ახალ გენერალურ გეგმას.

პროფ. ვასილ ქობულიას არქიტექტურული ბიურო „ქობულიები და პარტნიორები“, ასევე პროფ. ირაკლი მურდულიას საპროექტო ჯგუფი „ურბანიკა“ ანხორციელებენ საინტერესო არქიტექტურულ-დიზაინერულ და ურბანულ პროექტებს.

არქიტექტურისა და ურბანისტიკის დეპარტამენტის პროფესორები აქტიურად არიან ჩაბმული ტექნიკური უნივერსიტეტის მმართველ ორგანოებში. პროფ. გ. სალუქვაძე არის სტუ-ს აკადემიური საბჭოს წევრი და სწავლული მდივანი. პროფ. თ. მახარაშვილი მუშაობდა სტუ-ის სენატში და ამჟამად არის აკადემიური საბჭოს წევრი.

ჩვენი ფაკულტეტის სხვადასხვა პერიოდის კურსდამთავრებულები ეწევიან ნაყოფიერ და წარმატებულ პრაქტიკულ მოღვაწეობას, მათ შორის ხელმძღვანელობენ რესპუბლიკის წამყვან არქიტექტურულ კომპანიებს, კერძოდ:

– არქიტექტურული კომპანია „არსი“ – ხელმძღვანელები გია აბულაძე, თორნიკე აბულაძე;

– „არტსტუდიო პროექტი“ – ხელმძღვანელები გიორგი სულაბერიძე, რატი ხეცურიანი. ჯგუფის უფროსები გიორგი მახარაშვილი, მიშა კალანდაძე;

– „არქიტექტურული ლაბორატორია“ – ხელმძღვანელები დიმიტრი შაფაქიძე, ირაკლი აბაშიძე;

– არქიტექტურული ბიურო „ქობულიები და პარტნიორები“ – ხელმძღვანელები ძმები ქობულიები;

– არქიტექტურული ბიურო „ურბანიკა“ – ხელმძღვანელი ირაკლი მურღულია;

– არქიტექტურული ბიურო „არქიტექტორები ჯი“ – ხელმძღვანელები გიგა კიკნაძე, ლევან მუშკუდიანი;

– არქიტექტურული ბიურო – ხელმძღვანელი მიშა ბალიაშვილი;

– „ჯი-არ-სი“ – ხელმძღვანელები გიორგი ჭუმბურიძე, ბექა კალანდაძე, ნოე სიხარულიძე;

– არქიტექტურული ბიურო „უად-ურბანისტიკა, არქიტექტურა და დიზაინი“ – ხელმძღვანელი ალექო ჯობავა;

(ეს არის არასრული ჩამონათვალი).

ფაკულტეტის კურსდამთავრებულები წარმატებით მუშაობენ ან სწავლობენ მსოფლიოს სვადასხვა ქვეყნებში.

ჩატარებული გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არქიტექტურის სპეციალობით მუშაობს და სწავლობს 300-ზე მეტი ახალგაზრდა. ეს არასრული მონაცემია. რეალურად მათი რიცხვი გაცილებით მეტია. საილუსტრაციოდ წარმოგიდგენთ რამდენიმე მათგანს:

– დავით ძინძიბაძე – გერმანია, კაიზერსლუტერნი;

– სოფო სახანბერიძე – ჰოლანდია;

– პავლე სახანბერიძე – ჰოლანდია;

– ირაკლი ნიკურაძე – აშშ, ნიუ-იორკი;

– ირენა ჯანიაშვილი – აშშ 2000 წლიდან;

– ირაკლი ვაჩნაძე – აშშ, ვაშინგტონი;

- მიხეილ ჩიტაშვილი – შვეიცარია, ბერნი;
- ნ. მონიავა – გერმანია, ბერლინი;
- ლაშა ცეცხლაძე – ავსტრია, ვენა;
- ს. ზესაშვილი – რუსეთი, მოსკოვი;
- მერაბ სიხარულიძე – რუსეთი, მოსკოვი;

-დავით ბახტაძე – დაამთვრა გერმანიის ქ. კაიზერსლუტერნის ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტი;

- თამრიკო ცანავა – ჰოლანდია;

გაცვლითი პროგრამით „Ezasmus“ სწავლობენ მილანის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში:

- ვახტანგ გაჩეჩილაძე – IV კურსი;
- მირიან ცეცხლაძე – IV კურსი;
- მირიამ ლობჯანიძე – IV კურსი
- ანანო კობახიძე – IV კურსი.

სწავლება დაამთავრეს პორტუგალიაში:

- თამთა შავაძე;
- მარიამ მალაქელიძე;
- ივანე ქათამაძე;
- დავით ასანიძე;
- მიხეილ მოზაიძე

ფაკულტეტზე და დეპარტამენტში წარმატებით წყდება კურსდამთავრებულთა, მათ შორის სტუდენტ-მაგისტრანტთა დასაქმების პროგრამა: (2016-2017 წლების)

- გიორგი მიქერიშვილი (მაგისტრანტი) – მუშაოს შპს „რედგრუპ ჯორჯიაში“
- პავლე მაისურაძე – შპს „109 გრადუსი“
- ბესარიონ სხირტლაძე – შპს „ინჟინრული აზრი“
- აკაკი ბიგანიშვილი – თბილისის მერია
- ვერა გამიაშვილი – თბილისის მერია
- დავით ხაზაკოვი – კომპანია “SELF”
- დავით ტურბელაძე – „ორბი ჯგუფი“
- ნიკოლოზ გაფრინდაშვილი – „ფორტის გრუპი“

– გურამ ესაკია – შპს „არქ-არეა“ და ა.შ.

ფაკულტეტისა და დეპარტამენტის სამომავლო გეგმები უკავშირდება არსებული სწავლების მეთოდების და სასწავლო პროგრამების კიდევ უფრო დაახლოებას ევროკავშირის წამყვანი ქვეყნების სწავლების დონესთან. ამ მიმართულებით მიმდინარეობს სასწავლო პროგრამების განახლებისა და სრულყოფის პროცესი.

სტუ-ს აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე ხდება საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოების ჩამოყალიბება. ამ მიმართულებით ფაკულტეტზე მიმდინარეობს სამუშაოები, რომელიც საგრძნობლად გააუმჯობესებს დისერტანტების მუშაობის პროცესს და აამაღლებს სადისერტაციო ნაშრომების დონეს.

**ტექნოლოგიური (ლაბორატორიული) ბაზები და მათი გამოყენება სასწავლო პროცესში (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა)**

არქიტექტურული გეგმარებისა და ურბანისტიკის დეპარტამენტი-#601

აქ ფუნქციონირებს:

- მულტიმედიური პროექტირების ლაბორატორია;
- ქალაქთმშენებლობითი ეკოლოგიის პრობლემების შემსწავლელი სასწავლო-მეთოდური, სამცნიერო-კვლევითი ცენტრი;
- არქიტექტურის პოეტიკის სტუდია.

ზემოთ ჩამოთვლილი ლაბორატორიები, ცენტრები და სტუდია აქტიურად მონაწილეობენ არქიტექტურული გეგმარებისა და ურბანისტიკის დეპარტამენტის (#601) სასწავლო პროცესში, კონკრეტული პროგრამებისა და სილაბუსების მიხედვით ბაკალავრიატში, მაგისტრატურაში და დოქტორანტურაში.

**მულტიმედიური პროექტირების ლაბორატორიაში**, სილაბუსებზე დაყრდნობით პირველი და მეორე კურსის მეცადინეოები ითვალისწინებს მისცეს სტუდენტებს კომპიუტერის სისტემატიური გამოყენებისათვის აუცილებელი ცოდნა და ორიენტირებულია კომპიუტერული ტექნოლოგიების საფუძვლების ეტაპობრივ



შესწავლაზე, რაც სტუდენტს გამოუმუშავებს კომპიუტერის მრავალმხრივი კვალიფიციური გამოყენებისათვის აუცილებელ ჩვევებს, ვერბალური და არავერბალური ინფორმაციის დამუშავების კულტურას. ამასთან ერთად სტუდენტი ეცნობა პერსონალური კომპიუტერის პოტენციურ შესაძლებლობებს როგორც ინფორმაციულ საკომუნიკაციო საშუალებას, რაც დაეხმარება სტუდენტს გამოიყენოს ელექტრონული სახელმძღვანელოები და ქსელური სასწავლო რესურსები ძირითადი საგნების შესასწავლად.

III-IV კურსის ურბანისტიკის მოდულში ისწავლება ავტოკადისა და არქიკადის პროგრამები; ამავე კურსებზე დიზაინის მოდული სწავლობს 3D-მაქსის მოდელირების პროგრამას. გარდა ამისა არჩევითი საგანი ითვალისწინებს როგორც ავტოკადის, ასევე სხვა არქიტექტურული პროგრამების შესწავლას (AutoCAD, ArchiCAD, 3dsimax, Photoshop და ა.შ.)

მულტიმედიურ ლაბორატორიაში მიღებულ ცოდნას სტუდენტები იყენებენ არქიტექტურული პროექტირებისა და ურბანისტიკის დეპარტამენტის ბაკალავრიატში ისეთი მნიშვნელოვანი დისციპლინების შესწავლისას, როგორცაა: საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობა-ნაგებობების არქიტექტურა, ურბანული რეკონსტრუქცია, ლანდშაფტის არქიტექტურა და ა.შ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არქიტექტურული პროგრამების გამოყენებას საკურსო პროექტების შესრულებისას მოცულობით არქიტექტურაში, ლანდშაფტის არქიტექტურაში, ურბანული რეკონსტრუქციის პროექტებში და ა.შ.

**მაგისტრატურის** რიგი სასწავლო პროგრამები და სილაბუსები: ლანდშაფტის არქიტექტურა, ქალაქგეგმარების რეკონსტრუქცია, არქიტექტურული დაგეგმარების და ა.შ. ითვალისწინებს ავტოკადისა და სხვა პროგრამების გამოყენებას როგორც კვლევითი, ასევე არქიტექტურული პროექტირების შესრულებისას (ხელმძღვანელი პროფ. ნ. ჩაჩავა, პროფ. ზ. კიკნაძე).

**დოქტორანტურაში**, დოქტორანტები და მისი ხელმძღვანელები კონკრეტული თემებიდან გამომდინარე აქტიურად იყენებენ მულტიმედიური პროექტების ლაბორატორიას, დისერტაციების კონკრეტული მიზნებიდან გამომდინარე, ინფორმაციული კომპიუტერული მოდელირების ვიზუალიზაციის, ანალიტიკური კვლევისათვის და ა.შ.

დოქტორანტებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია სათანადო ლექციების კურსი ჩაიწეროს და განთავსდეს ფაკულტეტის საიტზე, რათა დოქტორანტებმა მოახერხონ მათთვის სასურველ დროს გაეცნონ და გამოიყენონ ეს მასალები.

მულტიმედიური პროექტირების ლაბორატორია ფუნქციონირებს 2005 წლიდან, რომლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში დიდი წვლილი შეიტანეს გერმანელმა კოლეგებმა, ჰამბურგიდან პროფ. იოსტ შარმმა და კიიზერსლუტერნიდან პროფესორებმა ჰანს დერჰატმა და კარლ ციკლერმა.

ფაკულტეტზე ფუნქციონირებს აგრეთვე **„ქალაქთმშენებლობითი ეკოლოგიის პრობლემების შესწავლელი სასწავლო-მეთოდური, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“**.

ცენტრის ძირითადი მიმართულებებია: სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო პოტენციალის ამაღლების ხელშეწყობა, ქალაქის ეკოლოგიური და დასახლებათა მდგრადი განვითარების პრობლემათა შესწავლის სფეროში, საგანმანათლებლო პროცესში არსებითი წვლილის შეტანა სიახლეთა შეთავაზების გზით.

სასწავლო პროცესით გათვალისწინებულია ქალაქთმშენებლობითი ეკოლოგიის საგანთა ჯგუფის სწავლების მაღალ დონეზე წარმართვა III-IV კურსის სტუდენტებისათვის.

ბაკალავრების, მაგისტრანტების და დოქტორანტების ჩართულობით სასწავლო პროცესებში ცენტრი უზრუნველყოფს მათ აქტიურ მონაწილეობას სასწავლო-სამეცნიერო პროექტებში.

აღნიშნული მიმართულების სამაგისტრო პროგრამებში და სილაბუსებში გათვალისწინებულია მაგისტრანტების როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თემების დამუშავება. განვლილი წლების მანძილზე დაცულია მთელი რიგი საინტერესო სამაგისტრო ნაშრომები.

დოქტორანტები სადისერტაციო თემად ხშირად ირჩევენ ქალაქთმშენებლობით ეკოლოგიის პრობლემების შესწავლას. ცენტრი და მისი ხელმძღვანელი არქიტექტორის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი სალუქვაძე უზრუნველყოფს დოქტორანტებს ქალაქის ეკოლოგიის დარგში თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებისა და უახლესი მეთოდოლოგიის საკითხებზე საჭირო ლიტერატურით და ინოვაციური ინფორმაციებით.

აღსანიშნავია, რომ როგორც უკვე დაცული, ისე ახლად არჩეული სადიოსერტაციო თემები ეხება საქართველოს კონკრეტული ქალაქებისა და რეგიონების ეკოლოგიური პრობლემების შესწავლას და მეცნიერული რეკომენდაციების შემუშავებას. რიგ შემთხვევაში შესაძლებელი ხდება სასწავლო პროცესის ინტეგრაცია სამეცნიერო და პრაქტიკულ საქმიანობასთან, რაც კარგად გამოჩნდა დოქტორანტ ზვიად ბურჭულაძის (ხელმძღვ. პროფ. გ. სალუქვაძე) მიერ 2016 წელს დაცული დისერტაციის „ურბანოლოგია-მუნიციპალური წარმონაქმნის ტექნოლოგიური სტრუქტურის მდგრადი განვითარების საფუძველი (ქობულეთის მუნიციპალიტეტის მაგალითზე)“.

ცენტრს აქვს კარგად მოწყობილი და აღჭურვილი კაბინეტი, და ახორციელებს მეთოდური სახელმძღვანელოების და სპეციალური პროგრამების მომზადებას საზღვარგარეთის მოწინავე უნივერსიტეტებთან და მათთან არსებული ეკოლოგიური ცენტრებთან კავშირებს. ცენტრი თანამშრომლობს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან და სამინისტროებთან (საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, განათლების და მეცნიერების სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, თბილისის მერია, ეკოლოგიის აკადემია, საინჟინრო აკადემია და სხვა). ცენტრი და პროფესორ-მასწავლებლები სისტემატიურად მონაწილეობენ სიმპოზიუმებში, კონფერენციებში, სემინარებში და ა.შ.

**არქიტექტურის პოეტიკის ტუდია** ეფუძნება პროფ. შოთა ბოსტანაშვილის მიერ შექმნილ ინოვაციურ და ორიგინალურ სწავლების მეთოდს და წარმოდგენილია რამდენიმე აკადემიურ საგნად, ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურზე.

სტუდიისთვის გამოყოფილია ოთახი, სადაც სტუდენტები ასრულებენ პრაქტიკულ დავალებებს. სტუდიის სამომავლო საქმიანობის (რომელიც გულისხმობს ციფრული ტექნოლოგიების აქტიურ დანერგვას) გათვალისწინებით ფაკულტეტის სამომავლო განვითარების გეგმით მოხდება აუდიტორიის გაფართოება და მისი კომპიუტერული აღჭურვა. ეს ხელს შეუწყობს ცნობიერების ამაღლებას არქიტექტურაში ციფრული წარმოების და ვირტუალური სივრცის როლის შესახებ და ციფრულ ეპოქაში არქიტექტურის ახალ კულტურულ გამოწვევებზე ფიქრს.

საგანს „არქიტექტურის პოეტიკა“ გადიან ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლების მეოთხე წელიწადს არქიტექტურული გეგმარების და ინტერიერის მოდულების

სტუდენტები. სილაბუსის მიხედვით სასწავლო კურსი მოიცავს ერთ საათიან ლექციას და ორ საათიან პრაქტიკულ მეცადინეობებს. სალექციო კურსი სთავაზობს სტუდენტს გააცნობიეროს არქიტექტურის კულტუროლოგიური ღირებულება. პრაქტიკული სამუშაო კი აძლევს მას საშუალებას შემოქმედებითად გარდაქმნას თეორიული ცოდნა.

სტუდია მონაწილეობს **მაგისტრატურის საფეხურზე** სამაგისტრო პროგრამა „არქიტექტურის“ არჩევით ბლოკში 2 „შენობა-ნაგებობათა რესტავრაცია-რეკონსტრუქცია“ სილაბუსით „კულტურის პოეტიკა და ხუროთმოძღვრული პრაქტიკა (SCPARO6)“. საგანი აკავშირებს კულტუროლოგიის თეორიებს არქიტექტურულ პრაქტიკასთან.

არქიტექტურული პოეტიკა იკვლევს მხატვრული სახის მიერ მნიშვნელობათა შექმნის და ესთეტიკური კომუნიკაციის მექანიზმებს, და უშუალოდაა დაკავშირებული უფრო ზოგად აკადემიურ დისციპლინა „სემიოტიკასთან“, რომელიც, საზოგადოდ, მნიშვნელობის შექმნის და კომუნიკაციის კოგნიტურ და სოციალურ მექანიზმებს შეისწავლის. სილაბუსი „კულტურის სემიოტიკა და ხუროთმოძღვრული პრაქტიკა“ ეკუთვნის არქიტექტურის სამაგისტრო პროგრამის არჩევით ბლოკს „შენობა-ნაგებობათა რესტავრაცია-რეკონსტრუქცია (SCPARO6).“

**დოქტორანტურის საფეხურზე** სპეც. კურსის „სივრცე, ფორმა, კომპოზიცია (SCPARO6)“ ფარგლებში გათვალისწინებულია 10 ლექცია (1 სთ. კვირაში) „პოეტიკა, რიტორიკა, სემიოტიკა“, სადაც განხილულია არქიტექტურული სამეცნიერო კვლევის კავშირი ფუძემდებლურ კულტუროლოგიურ თეორიებთან და მეოცე საუკუნის მნიშვნელოვანი ფილოსოფიების ნააზრევთან.

კვლევით კომპონენტში აქტიურად მუშავდება თემა მუსიკის, პოეტიკისა და არქიტექტურის მიმართებების შესახებ (დოქტორანტი თამარ სალუქვაძე). კვლევა პროსპეტუსის სტუდიაშია. თემის ხელმძღვანელი ასოც. პროფ. დ. ბოსტანაშვილი, რომელიც ასევე უძღვება სტუდიის საქმიანობას სწავლების დანარჩენ საფეხურზე.

არქიტექტურული გეგმარებისა და

ურბანისტიკის დეპარტამენტის უფროსი,

პროფესორი

თენგიზ მახარაშვილი